# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10(9.920)

11-18 აპრილი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა





# არ წახვიდე ბაზარში!

## ბაზარი არ არის აუცილებელი, სიცოცხლე კი აუცილებელია!

ბესო დედოფლიწყაროში, ე.წ. მაზოვკის დასახლებაში, ხევგალმა ცხოვრობს. ფერდოზე დიდი ბოსტანი აქვს გაშენებული. ყველაფერი მოჰყავს - ქინძით და კამით დაწყებული და კარტოფილით დამთავრებული. ზაფხულის გვალვაში ხევიდან ნაჟური წყლით რწყავს ბოსტანს და გვიან შემოდგომამდე აგრარულ ბაზარში ჰყიდის ბოსტნეულს.

ყველაფერი მოდის იმ დალოცვილ ფერდობზე - კიტრი, პომიდორი, ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, კომბოსტო..

მწვანილი ხომ მოდის და მოდის.

გაზაფხულზე წიწილებს ყიდულობს. ცოტას მოაჩიტებს და მერე გადალობილში, ქორფა ბალახში უშვებს. ზაფხულის ბოლოს უკვე ვარიკებად ჰყიდის.

ბაზარში მიჰყავს, პატარა მოწნულ გალიებში სვამს და ჰყიდის.

ბესოს ყველა იცნობს, უკვე საკუთარი კლიენტები გაიჩინა.

ბაზრით ცხოვრობს მოკლედ, ვაჭრობს და ცხოვრობს.

აბა მხოლოდ პენსიით რას გახდება, - გადასახადები, შვილიშვილები..

გუშინ დილით, ჩვეულებისამებრ მივიდა ბაზარში და პირკატა ეცა - კორონავირუსის გამო ბაზარი დაიკეტაო!

აი ასე, - ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის ცხოვრება ყირამალა ამოტრიალდა.

ყველაფერი გადაფასდა.

აქამდე ყველამ ვიცოდით, რომ მტერთან საბრძოლველად გაერთიანება იყო საჭირო, ერთად ყოფნა.

ახლა კი აღმოჩნდა, რომ ახალ მტერთან კოვიდ19- თან საბრძოლველად უნდა უნდა გავთითოკაცდეთ, სახლებში დავიმალოთ და გარეთ ცხვირი არ უნდა გამოვყოთ.

ადრე გვასწავლიდნენ, ცხოვრებამ რომ არ დაგჩაგროს, ხალხში გაერიე, სოფელი დიდია და მოგხედავსო.

ახლა გვესმის: სამ კაცზე მეტი არ შეიკრიბოთო.

ხოდა იმიტომაც დაიკეტა ბაზარი.

ჯერ უნდა გადავრჩეთ, კორონას უნდა გადავურჩეთ.

მერე ბაზარიც გაიხსნება და სხვა რამეებიც.

ძველმა ზღვის მგლებმა, შუა საუკუნეების ესპანელმა და პორტუგალიელმა მეზღვაურებმა, უბრალო ხის ხომალდებით ოკეანის საზარელ სივრცეებს თავზეხელაღებული მამაცობით რომ სერავდნენ და ახალ კონტინენრებს აღმოაჩენდნენ (უამრავი მათგანი შეეწირა ამ მოგზაურობებს) ასეთი სხარტულა დაგვიტოვეს: სიცოცხლე არ არის აუცილებელი, ზღვაოსნობა კი აუცილებელია!

ჰოდა ბესო, ნურავისზე გაბრაზდები, ახლა სხვა გზა არ არის, ბაზარი დროებით დაიკეტა. მოვა დრო და გაიხსნება.

ჩვენს ენაზე კი ასე გეტყვი:

ბაზარი არ არის აუცილებელი, სიცოცხლე კი აუცილებელია!


C M Y K

# 9 აპრილი: ბრძოლა, გმირული თავდადება და გამარჯვება!

31 წელი გავიდა 1989 წლის საშინელი ტრაგედიიდან. რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ელიტარულმა ნაწილებმა ორლესული ნიჩბების, მხუთავი გაზისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაახლოებით 10 000 კაციანი მშვიდობიანი საპროტესტო აქცია უსასტიკესად დაარბიეს. რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით კი დაუდგენელი ნივთიერებით მოიწამლა.

31 წლის განმავლობაში 2020 წელს ეს თარიღი ყველაზე მოკრძალებულად აღინიშნა. დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა , დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა თანამშრომლებთან ერთად 9 აპრილის გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

მემორიალთან 9 აპრილის გმირების სულთა მოსახსენიებელი პარაკლისი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრი კაპანაძემ გადაიხადა.

ირაკლი შიოლაშვილი- „თქვენ იცით, რომ 9 აპრილი მთელი საქართველოსთვის არის ტრაგიკული და ამავე დროს სიამაყით აღსავსე დღე, თარიღი, რომელიც შენი წინაპრების თავდადებული ბრძოლის შედეგს- დამოუკიდებელი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქის სტატუსს განსაზღვრავს . დიახ, მე ვამაყობ ყველა იმ ადამიანით, ვინც იმ დღეების მანძილზე იდგა რუსთაველის გამზირზე და სამშობლოს თავისუფლებისთვის, მისი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. განსაკუთრებული მოწიწება იმ გმირებს, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას თავიანთი სიცოცხლე შესწირეს. მართალია, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოკრძალებულად აღვნიშნავთ ამ დღეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული ქართველი აქ დგას, 9აპრილის მემორიალებთან და მათი სულებისთვის ლოცულობს“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი- „ეს დღე ერთდროულად ქართველების გასაოცარი გმირობისა და ტრაგედიის დღეა. 31 წლის წინ, ამ საოცარი ადამიანების ქვეყნისადმი სიყვარულმა და თავგანწირვამ დაუდო საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობას. იმედი მაქვს, მომავალ წელს, ისევე როგორც წინა პერიოდში, კვლავ უამრავი ადამიანით სავსე შეხვდება დედოფლისწყაროს 9 აპრილის მემორიალი და ყველას მიეცემა საშუალება, პატივი მიაგოს გარდაცვლილთა სულებს“.

მეუფე დიმიტრი- „ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა 9 აპრილი. ეს თარიღი მოიცავს თავის თავში როგორც მწუხარებას და განსაცდელს, ასევე სიამაყის გრძნობას. მომავალში, იმედია, უფრო გრანდიოზულად აღვნიშნავთ ამ თარიღს და ყველას მიეცემა საშუალება, პატივი მიაგოს 9 აპრილს დაღუპულთა სულებს“.

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა ტრაგედიის და ამავდროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ. ეს არ იყო შემთხვევითობა ან უბრალო დამთხვევა. ორი „9 აპრილის“ შეერთება იყო მცდელობა მიგვეღო ერთი, სრულფასოვანი თარიღი, რომელშიც იქნებოდა ბრძოლაც, გმირული თავდადებაც, გამარჯვებაც და თავისუფლებაც!



# არცერთი ინფიცირებული და არცერთი თვითიზოლაციაში

**„არცერთი ინფიცირებული და არცერთი თვითიზოლაციაში“-** ასეთია ეპიდემიოლოგიური სიტუაცია დედოფლისწყაროში 10 აპრილის მონაცემებით. ამის შესახებ ინფორმაციას დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მარიეტა გონაშვილი ავრცელებს. მისი განცხადებით, საკარანტინე ზონაში არცერთი დედოფლისწყაროელი არ იმყოფება. „ორმა პირმა თვითინიციატივით გაიკეთა ტესტი კორონავირუსზე, რომელთაც უარყოფითი პასუხი მიიღეს. ამჟამად კიდევ ერთმა ადამიანმა, რომელსაც ჰქონდა საზღვარგარეთ მოგზაურობის ისტორია, გამოიჩინა ინიციატივა, რომ კორონავირუსზე ტესტი ჩაეტარებინა. მიუხედავად იმისა, რომ მას თვითიზოლაციის ვადა 4 აპრილს ამოეწურა, პირადი უსაფრთხოების მიზნით გადაწყვიტა გადაკონტროლება“.



კახეთიდან ლუგარის ლაბორატორიაში გაგზავნილი 18 პაციენტის სინჯიდან კორონავირუსი არც ერთთან არ დადასტურდა.ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის კახეთის განყოფილების უფროსმა ნელი ხიზანიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ე. წ. ცხელების წერტილებიდან და საკარანტინე სივრცეებიდან, საეჭვო სიმპტომების მქონე მოქალაქეების სინჯების გაგზავნა ლუგარის ლაბორატორიაში დღესაც იგეგმება, პასუხი კი ხვალ დილით გახდება ცნობილი.

ამ ეტაპზე კახეთში 11 კარანტინის სივრცეა, სადაც 416 მოქალაქე იმყოფება.

რეგიონში ოთხი „ცხელების ცენტრი“ მოქმედებს, სადაც ჯამში 77 ცხელების მქონე პაციენტის მოთავსებაა შესაძლებელი.

საქართველოს მასშტაბით კი, კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევაა 230, მათ შორის გამოჯანმრთელებული – 54პირი, გარდაცვლილი– 3, კარანტინის რეჟიმში – 4908, ხოლო სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ 429 ადამიანი იმყოფება.

# 112 – კორონავირუსთან ბრძოლის პირველი ხაზი

**„მინდა მოვუწოდო ყველას, თუ გაქვთ სიცხე, გიჭირთ სუნთქვა, პირველი რაც უნდა გააკეთოთ, უნდა დარეკოთ 112-ში, საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან - ეს არის COVID-19-თან ბრძოლის პირველი ხაზი“ - განაცხადა გიორგი გახარიამ. ქოლ-ცენტრ 144-ზე ზარების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რადგან მოქალაქეებმა უკვე დეტალურად იციან, როგორია საგანგებო მდგომარეობის საკანონმდებლო სპეციფიკა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.**

მთავრობის მეთაური შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურთან ერთად, 112-ში და 144-ის ქოლ-ცენტრში იმყოფებოდა, სადაც მთავრობის ერთიანი ცხელი ხაზის მუშაობის პროცესს გაეცნო.როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ქოლ-ცენტრი - 144, რამდენიმე ხნის წინ, აუცილებლობიდან გამომდინარე ჩაირთო, რომლის ძირითადი ამოცანაა საგანგებო მდგომარეობის პირობების და საკანონმდებლო თავისებურებების შესახებ მოქალაქეებს გასცეს პასუხი.

**„სულ რამდენიმე ხნის წინ, აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩაერთო ერთი ქოლ-ცენტრი - 144, რომლის ძირითადი ამოცანა გახლავთ საგანგებო მდგომარეობის პირობების და საკანონმდებლო თავისებურებების შესახებ ჩვენს მოქალაქეებს გასცეს პასუხი. ეს ქოლ-ცენტრი ფუნქციონირებს და ზარების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული. მოქალაქეებმა უკვე დეტალურად იციან, როგორია საგანგებო მდგომარეობის საკანონმდებლო სპეციფიკა“,** - განაცხადა გიორგი გახარიამ. პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა 112-ის მნიშვნელობაზე ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე და აღნიშნა, რომ 112 გახდა ჩ‡VID-19-თან ბრძოლის პირველი ხაზი, რადგან მოქალაქეს აძლევს საშუალებას, სიმპტომების გაჩენისთანავე მიიღოს მაღალპროფესიონალური კონსულტაცია და გაერკვეს, უნდა დარჩეს სახლში თუ უნდა მიმართოს სტაციონარს.

**„შემიძლია ოფიციალურად განვაცხადო, რომ 112 სრულიად ახალი ხაზით აეწყო ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად და პირველად, სამედიცინო მომსახურებასთან ერთად, რაც ნიშნავს ოჯახის და სოფლის ექიმს. ეს არის ჩ‡VID-19-თან ბრძოლის პირველი ხაზი, იმიტომ, რომ თითოეულ ჩვენს მოქალაქეს, როგორც კი რაიმე ელემენტარული სიმპტომი ექნება - სიცხის მატება, სუნთქვის გართულება, მას შეუძლია აიღოს ტელეფონი, აკრიფოს 112.**

112 მას მაშინვე დააკავშირებს მის ოჯახის ექიმთან ან სოფლის ექიმთან. ე.ი. ზარი შემოდის თბილისში, საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან, ბრუნდება იმ გეოგრაფიაზე, საიდანაც ზარი ხორციელდება და ჩვენს მოქალაქეს აკავშირებს ოჯახის ან სოფლის ექიმთან. შემდგომ უკვე „ჩეკ ლისტის“ შესაბამისად ტარდება კონსულტაცია. თუ საჭიროა მოქალაქის გადაყვანა სტაციონარზე, მაშინ ის გადაჰყავთ რეგიონულ ცხელების ცენტრში, სადაც ის არის 24 საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ, შემდეგ მას უტარდება ტესტირება და იქნება მიღებული გადაწყვეტილება, თუ რომელ სტაციონარში გადაიყვანენ. ეს არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ჩვენ ამით ვიცავთ ჩვენს მოქალაქეს, პირველივე სიმპტომის გაჩენის შემთხვევაში შეუძლია დარეკოს 112-ზე და მიიღოს ძალიან მაღალი ხარისხის ტელემედიცინის მომსახურება. მეორე - ვიცავთ ჩვენს სასწრაფო დახმარების ქსელს, რომლის რესურსიც ახლა დასაზოგია და რა თქმა უნდა, ჩვენს სტაციონარებს. შემოსული 400 ზარიდან დაახლოებით 5-6 პროცენტი ბრუნდება უკან 112-ზე, რომ გადავიდეს სასწრაფო მომსახურების დონეზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ოჯახის და სოფლის ექიმები უკვე სახლის პირობებში მართავენ პირველად სიმპტომებს, რომლითაც მათ ჩვენი მოქალაქეები მიმართავენ. **ეს არის უმნიშვნელოვანესი პირველი ხაზი COVID-19-თან ბრძოლის. სწორედ ტელემედიცინა არის ის შესაძლებლობა, რომელიც სიმპტომების გაჩენისთანავე აძლევს მოქალაქეს საშუალებას, მიიღოს მაღალპროფესიონალური კონსულტაცია, გაერკვეს, უნდა დარჩეს სახლში თუ უნდა მიმართოს სტაციონარს და თუ მიმართავს ცხელების ცენტრს, მაშინვე ჩაუტარდება ტესტი და გაირკვევა, ეს არის COVID-19, თუ სხვა რამ და აქედან უკვე გადანაწილდება სტაციონარებში. ეს გვაძლევს საშუალებას, ის სტაციონარები, რომელიც ქვეყნის მასშტაბით COVID-19-თან საბრძოლველად არის გამოყოფილი, იყოს მიზნობრივად დატვირთული. მინდა ყველას მოვუწოდო, პირველივე სიმპტომების გაჩენისთანავე, თუ გაქვთ სიცხე, გიჭირთ სუნთქვა, პირველი რაც უნდა გააკეთოთ, უნდა დარეკოთ 112-ში, საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან“,** - განაცხადა გიორგი გახარიამ.

# დედაენა, კორონოვირუსი და ბარბარიზმები

***14 აპრილს საქართველოში „დედაენის დღე“აღინიშნება. 1978 წელს ქართველმა საზოგადოებამ მტკიცე პროტესტი გამოთქვა საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. მუხლი, რომლითაც საქართველოში სახელმწიფო ენა ქართული იყო, კონსტიტუციიდან გააქრეს. ამან არა მხოლოდ ეროვნულ, დისიდენტურ მოძრაობაში ჩართული ადამიანების, არამედ სტუდენტების, ინტელიგენციის პროტესტი და შეშფოთება გამოიწვია. ასე დაიწყო ყველაფერი. დისიდენტებმა, სტუდენტებმა, ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, მასობრივი საპროტესტო შეკრებები და გამოსვლები დაიწყეს, რომლის კულმინაციაც 14 აპრილს, თბილისის უნივერსიტეტის ეზოდან რუსთაველის გამზირზე, ყოფილი უზენაესი საბჭოს (ამჟამად პარლამენტის) შენობამდე მოწყობილი მსვლელობა და მრავალათასიანი მიტინგი გახდა. ანალოგიური ვითარება იყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.***

***დაძაბული ვითარების გამო, ოფიციალური მოსკოვი იძულებული გახდა, დაეთმო და კონსტიტუციაში ცვლილება აღარ შევიდა, ხოლო 14 აპრილი “დედაენის დღედ” გამოცხადდა.***

1978 წლის დრამატული მოვლენებიდან მრავალი წელი გავიდა, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა და გასაკვირი არაა, რომ ქართული ენის დაცვასაც აღარ სჭირდება გმირობა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართულ ენას საფრთხე არ ემუქრება.

უცხოენოვანი ექსპანსია უფრო ხელშესახები გახდა. თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებზე ზედაპირული დაკვირვებაც კი ნათელყოფს, რომ ენაში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება ენის თითქმის ყველა დონეზე, რაც უპირატესად ინგლისურ ენას და მის ყოვლისმომცველ გავლენას უკავშირდება.შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ენის ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი, რაც ინგლისურ ენასთან მისმა მჭიდრო კონტაქტმა მოიტანა. ეს კონტაქტი კი მართლაც ყოვლისმომცველია: ინტერნეტი და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; საერთაშორისო ურთიერთობები, პირდაპირი დიპლომატიური კავშირები უცხოეთთან, რაც დამოუკიდებლობის წლებს უკავშირდება; საბაზრო ეკონომიკა, ახალი სამეწარმეო და სამართლებრივი ურთიერთობები; რევოლუციური წინსვლები მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში ბიოლოგიითა და მედიცინით დაწყებული და სოფლის მეურნეობით დამთავრებული და სხვა. ყველა ეს სიახლე ახალ ტერმინოლოგიასთან, ახალი ცნებების აღმოცენებასთან არის დაკავშირებული, რაც ბუნებრივად მოაწყდა ქართულ ენას სწორედ ინგლისური ენის მეშვეობით.

**უჭირთ შესაბამის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებს აკონტროლონ სპეციალური ტერმინოლოგიის შემოჭრა. რუსული ენის გავლენის შედეგად, ნაწილობრივ მოხდა ქართული ენის “გაევროპელება” და ეს კარგად ჩანს თუნდაც ისეთი სიტყვების შედარებით, როგორიცაა:**

**პრიორიტეტული - უპირატესი, რეზულტატი - შედეგი, ექსპერიმენტი - ცდა, კომფორტი - სიმყუდროვე, კომპენსაცია - ანაზღაურება, ტალანტი - ნიჭი, ტრანსფორმაცია - გარდაქმნა, პროგრესი - წინსვლა, ირიგაცია - მორწყვა, ექსპერტი - მცოდნე, კორპორაცია - გაერთიანება, კორუფცია - მექრთამეობა, ტენდენცია - მიმართულება, კორექტული - სწორი,ნეგატიური - უარყოფითი, პოზიტიური - დადებითი, ავთენტიკური - სარწმუნო,პუბლიკაცია - ნაშრომი,და მრავალი სხვა.** ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენა ბარბარიზმებით ძალიან არის გადატვირთული. თუნდაც საგანმანათლებლო სფეროში ისეთი ტერმინების ძალიან დიდი სიუხვეა, რომლებიც ოფიციალურად არ არის დანესებული. ამიტომ, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემები გვიდგას ქართული სახელმწიფო სალიტერატურო ენის თანამედროვე ნორმებისა და ტერმინოლოგიის დადგენის მხრივ. სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი შესაბამისი ინსტიტუციებისა და ნორმების მიხედვით უნდა განხორციელდეს, უნდა არსებობდეს სათანადო საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განამტკიცებს სახელმწიფო ენის სტატუსს და რომლის საფუძველზეც დადგინდება ნორმები და დაინერგება ტერმინოლოგიები. ასაწყობია მთელი სისტემა, რომელიც ჯერ არ არსებობს.

ქეისი = შემთხვევა!
კლასტერი = ჯგუფი!
ვიტალური = სასიცოცხლო!
ლეტალური = სასიკვდილო!

ისაუბრეთ ქართულად !!!

სჭირდება თუ არა ქართულ ენას ის ინგლისურენოვანი ბარბარიზმები, რომელთაც შედარებით მოკრძალებულად შემოაბიჯეს ენაში რამდენიმე წლის წინ, მაგრამ დღეს უკვე ზვავად იქცნენ და თავის გზაზე წალეკვით ემუქრებიან ასობით ქართულ სიტყვას:

**დააფდეითება**-to update)-განახლება

**დაბუსტვა**-(to boost) რეკლამის გაკეთება, პოპულარობის გაზრდა

**დაკლიკვა**-(to click)-დაწკაპუნება

დალაიქება-(to like)-მოწონება

**დათაგვა-(to tag)-მონიშვნა**

**იმპლემენტაცია**-(implementation)-განხორციელება, შესრულება, რეალიზაცია

**ინსპირაცია**-(inspiration)-შთაგონება

**კოლაბორაცი**ა-(collaboration)-თანამშრომლობა, ერთობლივი მუშაობა

**ამ მაგალითებისათვის თვალის გადავლებაც კი ნათელს ხდის, რომ ყველა ინგლისური ძირის სიტყვას აქვს ბუნებრივი ქართული შესატყვისი, რიგ შემთხვევაში, რამდენიმე შესატყვისიც. ამდენად, არ არსებობს მათი ქართულ ენაში შემოტანის რაიმენაირი საჭიროება. მეორე მხრივ, ამ ტიპის ბარბარიზმების ენაში მომრავლება ქმნის მთელ რიგ პრობლემებს. ბარბარიზმების დიდი რაოდენობით ენაში შემოსვლა აფერხებს ურთიერთგაგებას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებით ხშირად ისმის ბარბარიზმი - ბორდი,** რიგითი მოქალაქეების უმრავლესობამ არ იცის რას ნიშნავს ბორდი. ინგლისური ბოარდ ქართულად ბევრ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: სამეთვალყურეო საბჭო (supervisory board), დირექტორთა საბჭო (board of directors), მრჩეველთა საბჭო (board of advisers). ბორდის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭოს გამოყენება (საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებით) ბევრად გასაგებს გახდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გადაცემულ ინფორმაციას მოსახლეობისათვის. ორი ან რამდენიმე ბარბარიზმის თავმოყრა წინადადებაში კიდევ უფრო ართულებს აზრის გაგებას. ბარბარიზმების მიერ გამოწვეული ერთ-ერთი პრობლემაა გართულებული ურთიერთგაგება და, თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, საქართველოში სერიოზული საფრთხე ექმნება ქართული ენის საკომუნიკაციო ფუნქციას.

**კორონავირუსის პანდემიის გამო 24 საათის განმავლობაში გადმოიცემა სიახლეები და მუდმივად ისმის ახალი ბარბარიზმი „კლასტერი“. დავინტერესდი და მოვძებნე რას ნიშნავდა ეს სიტყვა. აი რამოდენიმე ვერსია სიტყვა „კლასტერი“-ის განმარტების.**

1. ***კლასტერები*** წარმოადგენს კონკრეტულ სფეროში ურთიერთდაკავშირებული ბიზნესის, მიმწოდებელი კომპანიებისა და დამაკავშირებელი ინსტიტუტების გეოგრაფიულ კონცენტრაციას, რომლებიც იზიარებენ საერთო ცოდნას/ღირებულებებს, სამუშაო ძალას, ბაზრებსა და სადისტრიბუციო არხებს.

2. ***კლასტერი-*** საერთო საკითხებზე მომუშავე მასწავლებლების ან სკოლების არაფორმალური 4-5 წევრიანი დაჯგუფება.

3. რა არის ***კლასტერი?*** ,,კლასტერი“ წარმოდგება ლათინური სიტყვისგან ,,ცლუსტერ“, რაც ნიშნავს: ,,თავმოყრა-დაგროვება“, ,,კონა“, ,,თანავარსკვლავედი“.

4. ***კლასტერი-***ინფორმატიკის ტერმინი, რომელიც ერთგვარი ნიშან - თვისებების საგანთა ჯგუფს აღნიშნავს. ( უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი ).

ინგლისურენოვანი ბარბარიზმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა უცხოეთში განათლებამიღებული ქართველები, პოლიტიკოსები, ექსპერტები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სხვა. ვინაიდან ისინი ყველაზე ხშირად გამოდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სწორედ მათი მეტყველებიდან ვრცელდებოდა და ვრცელდება დღესაც ესა თუ ის ბარბარიზმი ქართულ ენაში. ამიტომ, ქართული ენის დაწმენდის პროცესი ამ სფეროებით უნდა დაიწყოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენას არ სჭირდება გაინგლისურება, მას სჭირდება განვითარება. როგორც „დედაენის“ ავტორი იტყოდა, -„უცხო სიტყვა ვერასდროს ვერ ჩაატანს ღრმად კაცის ბუნებაში.“

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# ქართული ენა - „მსოფლიოს მერვე საოცრება“

***ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა, რაც სხვა ყველაფერთან ერთად ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ქართველი თუ არაქართველი უნდა ეცადოს მის შესწავლას, თუ იგი საქართველოს მოქალაქეა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამარტივებს სახელმწიფოსა და მოქალაქეების ურთიერთობას, მაშინ როდესაც ეთნიკურად დასახლებული რამდენიმე რეგიონი გვაქვს და ენასთან დაკავშირებული პრობლემები მუდმივად იჩენს ხოლმე თავს, რაც ბოლო პერიოდშიც ნათლად გამოჩნდა.***

საქართველოს საზღვრებში ქართულ ენაზე 4 მილიონამდე ადამიანი ლაპარაკობს. გარდა ამისა აზერბაიჯანის, თურქეთის და ირანის ტერიტორიაზე გვხვდება ქართული ენის რამდენიმე დიალექტი, რომლებსაც იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველები უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე იცავენ და ინარჩუნებენ. დღევანდელ დღეს ჩვენთვის მთავარი ჩვენივე ენის ცოდნაა. აუცილებელია მისი დაცვა, როგორც ჩვენი არსებობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნაწილისა. უნდა ვიცოდეთ, თუ საით მიგვყავს ის ჩვენი გაუმართავი საუბრით, ბარბარიზმებით, უკვე დამკვიდრებული მცდარი ფორმებით, რომელთა გამოსწორებას უმეტეს შემთხვევაში არც კი ვცდილობთ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა მცირე ერის სახელმწიფო ენაა, მისი ურთულესი ბგერების გაგება მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეიძლება. **14 აპრილი ქართული ენის დღეა. ენის, რომელმაც ჩვენი ერი, როგორც თვითმყოფადი მთლიანი ორგანიზმი ისე ჩამოაყალიბა. ჩამოაყალიბა ჩვენი კულტურა, განსაზღვრა ჩვენი მეტყველების ძირითადი მახასიათებლები, ურთიერთობის ფორმა, ზნე-ჩვეულებები.**

* ქართული ენა არის მსოფლიოში 120-ე ადგილზე მასზე მოლაპარაკე ხალხის რაოდენობის მიხედვით (რაოდენობა ითვლება მხოლოდ ეთნიკური ქართველებით ანუ 4 მილიონამდე)

* ქართულ ენაში არ არსებობს მდედრობითი ან მამრობითი “ის”.

* ქართული ზმნა ყოველთვის გულისხმობს თავის თავში ერთ, ორ ან სამ სუბიექტს. (მაგალითად გაუგზავნის ( ის, მას, მას) ეს ერთი სიტყვა სხვა ენაში მთელ წინადადებას მოიცავს)

* 1705 წელს, მოსკოვში მეფე არჩილ 2-ის მითითებით ნუსხური და ხუცური ანბანებით დაიბეჭდა “დავითნი”. 1712 წელს, კი ვახტანგ 6-ის მიერ დაარსებულ სტამბაში, დაიბეჭდა “ვეფხისტყაოსანი”, “ბიბლია” და “ახალი აღთქმა”.

*სტანდარტული მისალმება ანუ “გამარჯობა” ნიშნავს გამარჯვებას და ასახავს ქვეყნის რთული წარსულის დაძლევას და ომების რთულ წარსულს.

*ქართული ერთადერთი ენაა მსოფლიოში, რომელშიც ბგერა და ასო ერთმანეთს ემთხვევა ანუ რასაც ვწერთ, იმას ვამბობთ. და მნიშვნელობა არა აქვს ასოების კომბინაციას. ქართულში არ გვაქვს ორი განსხვავებული ხმოვნის ისეთი შეერთება, რომელიც გვაძლევს ერთ მარცვალს ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტების გზით.

*ქართული ენა მსოფლიოს ერთ-ერთ რთულ შესასწავლ ენებს შორისაა.

მარჯორი უორდროპი: **„ქართველებს უყვართ სტუმარი. სტუმრის პატივისცემა მათი ერთ-ერთი პირველი ღირსებათაგანია. გარდა უცხოელებისადმი მათი ბუნებრივი სიყვარულისა, ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჩვენით, რადგან ჩვენ ქართული ენა შევისწავლეთ და მათ სანახავად მოვედით. გულითად და აღფრთოვანებულ შეხვედრებს გვიწყობდნენ ყველგან და ეს შეხვედრები გვინაზღაურებდნენ იმ დიდ ცდასა და მძიმე საათებს, რაც მათი ენისა და რთული ქართული ზმნის შესწავლას მოვანდომეთ... ქართული ენა შესანიშნავად ემორჩილება რიტმსა და რითმას. საქართველოში თითქმის ყველა ადამიანი ბუნებით მელექსეა“.**

რუსი ენათმეცნიერი პ. კ. უსლარი (1816-1875): **„ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგი არის ყველაზე სრულყოფილი ანბანი ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამომხატველია“.**

ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე უილიამ ედუარდ დევიდ ალენი (1901-1973): **„ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულიად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის. ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ენას ვერ შეედრება.“**

ნიკო მარი: **„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არათუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით - ცოცხალი ქართული ენა, მალამხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება თქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.**



პროფესორი რიჩარდ მეკელაინი, ქართველოლოგი: **„გამოხატვის საშუალებებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. ის არც სიტყვის მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე უფრო განვითარებულ ენებს“.**

სწორედ ასეთი მდიდარი და უნიკალური ენისთვის, 1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ, გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა; ენისთვის, რომელსაც თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისთვის დამახასიათებელია ყველა ფუნქცია აქვს, ყველაფერი რაც პოლივალენტოვან (ენა, რომელსაც მოეპოვება ყველა ფუნქცია, რაც სალიტერატურო ენას შეიძლება ჰქონდეს) სამწერლო ენას შეიძლება ჰქონდეს. ამ ენაზე შექმნილია მდიდარი მხატვრული, ორიგინალური, თარგმნითი, სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა. ქართულ ენაზე შედგენილია მრავალი ლექსიკონი როგორც ორენოვანი (თარგმნითი), ასევე ტერმინოლოგიურ-განმარტებითი. ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ენად მიიჩნევა, მისი ლექსიკის ზრდა განუწყვეტლივ მიმდინარეობს. დიდი ქართული ლექსიკონის შესადგენად შექმნილია სადოკუმენტაციო ფონდი, რომლის საცავში 1982 წელს 3 მილიონზე მეტი ბარათი (ლექსიკური ერთეული) ინახებოდა. საუკუნეების განმავლობაში, სწორედ ასეთ ენა გადაურჩა გაქრობას. ჩვენ კი მას დღეს არ ვუფრთხილდებით. ის ჩვენთვის ძალიან ძვირფასი უნდა იყოს. ვისაუბროთ ქართულად, ვწეროთ ქართულად, ვიურთიერთოთ ქართულად, იმის ფონზე რომ ენაში ისედაც საკმარისად გვაქვს არაბული, თურქული, სპარსული, რუსული ენიდან შემოსული სიტყვები, დღეს ეს აუცილებელია. ჩვენი დაუკვირვებლობითა და მოდას აყოლილობით ვერც კი ვიაზრებთ, რომ ენას დაღუპვისკენ თავად ვუბიძგებთ. არ ვამბობ, რომ ყველამ უნიკალურად უნდა ვისაუბროთ, მაგრამ უბრალოდ უნდა ვეცადოთ, რომ მიუახლოვდეთ მაინც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. თუკი სახელმწიფო ენას მეტი ყურადღება მიექცევა, თუკი ყველა გაიაზრებს იმ ვალდებულებას, რაც სახელმწიფო ენის პატივისცემას გულისხმობს, თუკი ვისწავლით სახელმწიფო ენით სწორ კომუნიკაციას, იქნებ პრობლემებიც ნაკლები გვქონდეს სამომავლოდ? რადგან თუ ჩვენ არ ვეცით პატივი ჩვენსავე ენას, სხვას ამის გაკეთებას ვერანაირი საფუძვლით ვერ მოვთხოვთ. შეიძლება გაცვეთილ ფრაზად მიიჩნიოთ, მაგრამ ჩემი აზრით, ილია ჭავჭავაძემ ეს სიტყვები მხოლოდ იმ საუკუნისთვის არ დაწერა და მხოლოდ ერთჯერადად არ ამოტვიფრა სამუდამოდ ჩვენს მეხსიერებაში, რომ: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას.... ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს...“

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# რომელმა სახელმწიფომ ისარგებლა პანდემიით?!

***კორონავირუსის ინფექციით შექმნილ კრიზისთან გამკლავებას მთელი მსოფლიო ცდილობს. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები იბრძვიან ადამიანთა გადასარჩენად და, ამავდროულად, გართულებული ეკონომიკური ვითარების შესამსუბუქებლად. უფრო და უფრო მეტი საყვედური ისმის ჩინეთის მიმართ, რომელსაც მსოფლიოს ლიდერები ახალი კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის დამალვაში ადანაშაულებენ. შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთმა ვირუსის აღმოჩენა მსოფლიოს დაახლოებით ორი თვით დაუმალა. გამოითქმის ეჭვები იმის თაობაზეც,რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ არ იმოქმედა დროულად და ეფექტიანად. მის ხელმძღვანელს, ეთიოპიელ ედროს ადანომ გებრეისუსს, რომელიც ამ ორგანიზაციას 2017 წლიდან ხელმძღვანელობს, გაუხსენეს ისიც, რომ მან ეს თანამდებობა ერთი ხმის უპირატესობით მიიღო და ეს ერთი ხმა ჩინეთს ეკუთვნოდა. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ლიდერები ეჭვობენ, რომ შესაძლოა მან, ნებსით თუ უნებლიეთ, დაფარა კორონავირუსის გავრცელების მასშტაბი, რამაც, ფაქტობრივად, დედამიწის შეჩერება გამოიწვია. სამშობლოში კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელს შეახსენეს, რომ ეთიოპიის საგარეო საქმეთა მინისტრობისას მან მსოფლიო თანამეგობრობას ამ ქვეყანაში ქოლერის აფეთქება დაუმალა. ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდებია, თუმცა მოვა დრო, როდესაც ახლანდელ ვითარებას დაწვრილებით შეისწავლიან და ყველას, ვინც მიზანმიმართულად შეუწყო ხელი ვირუსის გავრცელებას, მკაცრად მოუწევს პასუხისგება. ამ თემაზე ექსპერტი მამუკა არეშიძე საუბრობს.***

- დღეს არაერთი ვერსია ვრცელდება; ტყუილ-მართალი ერთმანეთშია არეული და დანამდვილებით რამის თქმა რთულია. უკვე ვხედავთ, რომ მსოფლიო ლიდერები, გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები საფუძვლიან ეჭვებს გამოთქვამენ. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იყო მოლოდინი, რომ მსოფლიო შექმნიდა ახალ იარაღს, რომელთან ერთადაც კაცობრიობა ახალ ეტაპზე გადავიდოდა. ფაქტობრივად, ასეც მოხდა – ატომური იარაღის შექმნამ არსებითად შეცვალა მსოფლიოში ძალთა განაწილება. სწორედ ამ იარაღმა დააწესა გარკვეული პარიტეტი. მე-20 საუკუნის ბოლოდან უკვე გაჩნდა მოლოდინი, რომ ქვეყნებს, რომელთაც ამ პარიტეტის შეცვლა არ შეეძლოთ, შეიძლებოდა შეექმნათ განსხვავებული იარაღი, რომელიც არანაკლებ ეფექტიანად იმოქმედებდა, თანაც ინფრასტრუქტურის მასობრივი განადგურების გარეშე. ასეთი იარაღის შექმნაზე კარგა ხანია მუშაობენ და ოდესმე მისი გამოყენების დროც დადგება, თუ უკვე არ გვაქვს საქმე ამ იარაღის გამოყენებასთან... არსებობს ვერსია, რომ ვირუსმა ხელოვნურად გაჟონა ლაბორატორიიდან. ეს მხოლოდ ვერსიაა, თუმცა, ალბათ, როდისმე ამ საქმის დაწვრილებით გამოძიებაზეც მიდგება საქმე, აუცილებლად გამოიკვლევენ ამ ვერსიის საფუძველსაც...

მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების არეალს რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის ეს თემა ნაკლებად აქტუალურია – ვგულისხმობ აფრიკას, წინა აზიას... შევხედოთ ახლო აღმოსავლეთს – აქ გაცილებით რთული ვითარებაა ისრაელში, რომელიც რეგიონში საკვანძო მნიშვნელობის ქვეყანაა, ვიდრე მის გვერდით მდებარე ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, რომლებიც სამედიცინო სისტემით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიან.

დღეს ვირუსი ყველაზე მასშტაბურად გავრცელებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ლათინურ თუ სამხრეთ ამერიკაში ასეთივე მასშტაბსა და დაძაბულობას ვერ ვხედავთ. ეს ყველაფერი კითხვებს აჩენს.

მთელი ეს ისტორია ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ თავიდან ეს ყველაფერი ხელოვნურად შეიქმნა, მაგრამ მერე მავანს პროცესი ხელიდან გაუსხლტა. უამრავი კითხვაა, რომლებზეც პასუხი არ ჩანს. ჯერჯერობით ამ პასუხების მოსაძებნად მსოფლიოს არ სცალია, ჯერ კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან უწევს ბრძოლა, მაგრამ ამის დროც დადგება და არცთუ დიდი ხნის შემდეგ. ეს შეკითხვები ახლაც ისმის ძალიან მაღალ დონეზე - გაეროს, ევროკავშირისა და სხვა გავლენიანი პლატფორმებიდან. აშკარაა, მიმდინარეობს მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბების პროცესი და შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ აღმოვჩნდებით სრულიად ახალ რეალობაში, სხვანაირ მსოფლიოში, სადაც შეიცვლება არა მხოლოდ სამედიცინო და ეკონომიკური მიდგომები, არამედ პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და, რაც მთავარია, ადამიანის ცნობიერება. ბევრ სახელმწიფოს - განსაკუთრებით ევროპაში - მოუწევს საკუთარი პოლიტიკის გადახედვა; ამის გაკეთება მოუწევთ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებებსაც.

**ისმის კითხვა: რატომ ვერ უმკლავდებიან ძლიერი ქვეყნების სამედიცინო სისტემები ამ გამოწვევას? უპირველესად იმიტომ, რომ იმდენი ხანია, მსოფლიოში ამგვარი გამოწვევა არ ყოფილა, რომ**



**აღარც ექიმია საკმარისი და არც - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.**

საბჭოთა კავშირის დროს კარგა ხნის განმავლობაში რეგიონების მიხედვით არსებობდა შავი ჭირის სადგურები და მუდმივად მიმდინარეობდა ეპიდვითარების აღწერა. საქართველოში იყო უდიდესი სპეციალისტი თამაზ კერესელიძე, რომელმაც ეპიდემიოლოგიის უძლიერესი სკოლა შექმნა. ეს სამი ადამიანი, დღეს გმირებად რომ იქცნენ, სწორედ მისი სკოლის გამოზრდილია. ამ სკოლისა და ლუგარის ლაბორატორიის არსებობამ, ამასთანავე, კრიზისის მართვის სწორმა სისტემამ, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ შეიმუშავა, შექმნა დღევანდელი ვითარება.

იმედი ვიქონიოთ, რომ ასე გაგრძელდება და რაც შეიძლება ნაკლები ადამიანური დანაკარგით გავივლით ამ რთულ პერიოდს.

**- ვიდრე საქართველოში არსებულ ვითარებას უფრო დაწვრილებით შევაფასებდეთ, მინდა ასე დავსვა საკითხი: მსოფლიოში დღეს შექმნილ ვითარებაში ჩანს ვინმე - სახელმწიფო ან ინტერესთან ჯგუფი, რომელმაც პანდემიით ისარგებლა?**

- ჯერჯერობით ასეთი ჩანს ჩინეთი, რომელმაც, როგორც თვითონ ამტკიცებენ, კორონავირუსთან გამკლავება შეძლო და ამავდროულად, ეკონომიკურად დიდი დივიდენდი მოიპოვა - პრაქტიკულად, ყველა იმ უცხოური კომპანიის აქციები, რომელებიც ჩინეთის ტერიტორიაზე მუშაობდნენ, ჩინეთში დარჩა, კაპიკებად ჩაიგდეს ხელში. ამით ძალიან მძიმე დარტყმა მიადგა დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკას.

დარტყმა ყველამ მიიღო, ვინც დღეს მსოფლიო პოლიტიკას ქმნის: აშშ-მა, რუსეთმა და ევროკავშირმა, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია, სარგებელი კი ჯერჯერობით მხოლოდ ჩინეთმა ნახა...

**- უკვე ამიტომაც ისმის ჩინეთის მიმართ სანქციებით მუქარა...**

- სანქციები არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რასაც, ალბათ, აუცილებლად დაუწესებენ ჩინეთს, თუნდაც მხოლოდ ვირუსის შესახებ ინფორმაციის დამალვის გამო, თუკი ეს დადასტურდა, მაგრამ ამის გარდა, არსებობს მორალური გადაწყვეტილებებიც. ვფიქრობ, უახლოესი წლების განმავლობაში ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობისგან ქვეყნები მაქსიმალურად შეიკავებენ თავს. მგონია, რომ ჩინეთის დღევანდელი ეფემერული სარგებელი უახლოეს მომავალში აღარ იმუშავებს. იქნება სანქციებიც და მორალური პასუხისმგებლობაც ჩინეთს დაეკისრება...

**- როგორც სხვა ქვეყნები, საქართველოც ცდილობს დაიცვას მოქალაქეების ჯანმრთელობა და როგორმე მოახერხოს და დაიცვას ეკონომიკაც... პრემიერმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ მთავრობა პანდემიით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად 2 მილიარდ ლარს გამოყოფს; გარდა ამისა, სამი თვის განმავლობაში დაფარავს მოსახლეობის კომუნალურ ხარჯებს. როგორ შეაფასებდით პანდემიის მძვინვარების პირობებში ხელისუფლების ქმედებებს?**

- ვიდრე გიპასუხებთ, მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე - ეს არის საზოგადოების პოზიტიური ფსიქოლოგიური განწყობა. ეს კეთილგანწყობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. ერთია ის, რომ საზოგადოებამ ხელისუფლების ძლიერი ხელი იგრძნო და მოარული აზრი, რომ ეს იყო უნიათო ხელისუფლება, გაცამტვერდა; ბევრი უკვე იმასაც ამბობს, ამდენი თუ შეგეძლოთ, აქამდე სად იყავითო...

მეორე ფაქტორია ის, რომ საზოგადოებას აქვს კონკრეტული ორიენტირი – 21 აპრილი, როდესაც საგანგებო მდგომარეობა უნდა გაუქმდეს. შესაბამისად, საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, ამ ვითარებას 21 აპრილამდე გავუძლებთო...

მესამე ფაქტორია ხელისუფლების დაპირებები, რაც საზოგადოებას იმედს უჩენს. ეს სამი ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ ხელისუფლებას აქვს დრო და საშუალება, გათვალოს და ისე გადადგას შემდგომი ნაბიჯები.

ჯერ არ ვიცით, შედეგიანი იქნება თუ არა მთავრობის პროგრამა, რომელიც გახარიამ წარმოადგინა, მაგრამ ადამიანებს, ვისაც შიმშილის ეშინია, იმედს უსახავს. ხელისუფლებამ ეს ვითარება უნდა გამოიყენოს, ხოლო 21 აპრილის შემდეგ მისი ნაბიჯები უნდა იყოს სწორედ ამ კეთილგანწყობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული. ეს ეკონომიკური პროექტი უნდა ამუშავდეს და მას უნდა დაემატოს სხვა კომპონენტებიც. ხალხმა უბედურების პირისპირ თავი მარტოდ არ უნდა იგრძნოს.

როცა საზოგადოება ხედავს, რომ მასზე ვიღაც ზრუნავს, ბევრ რამეს ითმენს, მაგრამ ეს მოთმინება უსასრულო ვერ იქნება. ხელისუფლებამ დროულად უნდა მოიძიოს რესურსი და დაანახვოს საზოგადოებას, რომ პოსტეპიდემიური პერიოდი იქნება მშენებლობის პერიოდი.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ საზოგადოებაში სოლიდარობისა და თანადგომის უამრავი მაგალითი გაჩნდა.

**- უკვე მოვისმინეთ მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებები ეროვნული წარმოებისა და სოფლის მეურნეობის უფრო მძლავრად ამუშავებაზე... ეს მოკლე ხანში შესაძლებელია?**

- რთულია, მაგრამ შესაძლებელი. საზოგადოებამ უნდა დაინახოს საბაზისო ნაბიჯები, რომლებიც მომავალში შედეგს მოიტანს. აგარის ქარხანა იყო ნახსენები, მაგრამ ეს ქარხანა უცებ რომ ვერ ამუშავდება, ცხადია - ბოლოს და ბოლოს, საქართველოში შაქრის ჭარხალი ჯერ არავის დაუთესავს და ქარხანას ასამუშავებლად ნედლეული ხომ სჭირდება? სხვაა ამ ქარხანასთან დაკავშირებული იურიდიული პრობლემები - თავის დროზე ის ძასოხოვს წაართვეს და დავა მიმდინარეობდა. ახლა ზუსტად არ ვიცი, რა ხდება; შეიძლება ესეც სერიოზულ პრობლემად იქცეს, თუმცა პრობლემების მოვლა თუ ახლავე დაიწყება, ერთ წელიწადში შეიძლება ბევრი რამ მოხერხდეს.

მიმაჩნია, რომ ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისთვის უნდა ამუშავდეს შეღავათიანი საგადასახადო სისტემა. მე ეკონომისტი არ ვარ და შეიძლება ვცდები, მაგრამ შეღავათებისა და წახალისების გარეშე არაფერი გამოვა. ეს შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანასაც.

ხორბალი ავიღოთ... საქართველოში, რაც გვჭირდება, იმის მხოლოდ 10% მოგვყავს და როცა მსოფლიოში ასეთი მძიმე მდგომარეობაა, ჩვენი მომწოდებლები – რუსეთი და ყაზახეთი შეძლებენ კი იმდენი მოსავლის მოყვანას, რომ ჩვენც მოგვაწოდონ?! სრულიად ახალი მიდგომებია საჭირო.

აქამდე ჩვენ მთელი ყურადღება ღვინის ექსპორტისა და მევენახეობისკენ გვქონდა მიპყრობილი. ეს კარგია, მაგრამ, ვფიქრობ, სხვა რამეებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება და გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები.

**- რას ფიქრობთ კრიზისის დროს ქართული ოპოზიციის ქმედებებზე?**

- ოპოზიცია ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება. ერთი სული აქვთ, ხელისუფლება გააკრიტიკონ; მერე ხვდებიან, რომ ეს კრიტიკა არ არის რელევანტური და საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს და ვარდებიან მეორე უკიდურესობაში - ხელისუფლებას თანამშრომლობას სთავაზობენ. მოჰყავთ ლევან გაჩეჩილაძის მაგალითი, რომელმაც 2008 წლის ომის დროს თქვა, ოპოზიცია მორატორიუმს აცხადებს და ხელისუფლებას ყველაფერში ეხმარებაო, მაგრამ ეს რომ თქვა, მერე აღარ მოუბეზრებიათ ვინმესთვის რჩევებით თავი არც მას და არც სხვა ოპოზიციონერებს.

უცებ ყველა "ნაციონალი" ეპიდემიოლოგად რომ იქცა და ექიმებს ჭკუას ასწავლიან... მესმის სწრაფი ტესტების მნიშვნელობა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩავცვივდეთ, როგორშიც ჯერ იტალიის და შემდეგ ჰოლანდიის ხელისუფლებები აღმოჩნდნენ, როდესაც იჩქარეს და მიიღეს აბსოლუტურად უხარისხო პროდუქცია ჩინეთიდან. მოკლედ, ოპოზიციის დიდი ნაწილი არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუ დახმარება უნდოდათ, გადაერიცხათ კორონავირუსთან ბრძოლის ფონდში თანხა იმ სახელმწიფო დაფინანსებიდან, რომელსაც იღებენ. ახლა, როცა მათ ამისკენ ხალხი სოციალური ქსელით მოუწოდებს, ალბათ, აღარ გადარიცხავენ და ამას მათთვის პოლიტიკური ეფექტიც არ მოჰყვება.

# სემესტრი არ ჩავარდება

***ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სკოლებში სწავლა პირველი მარტიდან შეწყვეტილია.***

კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია, იქ, სადაც გვაქვს წარმატებები, ეს წარმატებები დავაფიქსიროთ. ასეთ წარმატებად კი, დისტანციური სწავლება დაასახელა. „OECD-მ წარმოადგინა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ დისტანციური განათლების მიღების მოდელი, რომელიც საქართველოში ბოლო ერთი თვის განმავლობაში იყო დანერგილი, არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მსოფლიოში. ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ განათლების სამინისტროს. საერთოდ, ხაზგასმით გამოყოფილი იყო „ტელესკოლის“ პროექტი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი. ეს ის ნაბიჯებია, რომელმაც შეიძლება მოგვცეს საშუალება, განათლების სამინისტროსთან ერთად, ისეთი გამოწვევა, როგორიც არის აკადემიური წლის გამოცხადება, დავძლიოთ და ეს არ მოგვიწიოს. ესეც ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია“, -განაცხადა პრემიერმა.

ტელესკოლა და ონლაინ ფორმატი ჩვენ საშუალებას გვაძლევს, რომ ეს სემესტრი აუცილებლად შედგება და არც ერთ შემთხვევაში არ ჩავარდება. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ჩარჩო დოკუმენტი, სადაც კორონავირუსის გამო შექმნილი გამოწვევების დასაძლევად, განათლების მიმართულებით, საქართველო შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა მსოფლიოში.

ამ დოკუმენტში დეტალურადაა განხილული ყველა ის ღონისძიება, რაც გატარებულია საქართველოში განათლების სამინისტროს მიერ და განსაკუთრებით არის გამოყოფილი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს, საქართველოს პირველ არხთან ერთად, -პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც ხელმისაწვდომობის გარანტიას იძლევა, რადგან პროექტი განკუთვნილია ყველასთვის. დეტალურად არის განხილული დისტანციური სწავლების ღონისძიებებიც, კერძოდ, ის პროგრამები, რომელიც სკოლების მიერ არის გამოყენებული დისტანციური სწავლებისთვის“ — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

აკადემიური წლის გამოცხადება რომ საჭირო აღარ იქნება, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმაც დაადასტურა.

საქართველოს განათლების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის თქმით, 2020 წლის სასწავლო სემესტრი არ ჩავარდება. მისი თქმით, ამის საშუალებას ტელესკოლა და ონლაინ სწავლების ფორმატი იძლევა.

“საქართველოს პირველ არხთან ერთად განხორციელებული პროექტი ტელესკოლა განკუთვნილია ყველასთვის, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ინტერნეტთან წვდომა.ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურად არის განხილული დისტანციური სწავლების სხვა ღონისძიებებიც, კერძოდ, ის პროგრამები რომელიც სკოლების მიერ არის გამოყენებული დისტანციური სწავლებისთვის, როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ რეჟიმში, მაიკროსოფთის პროდუქტები და სხვა საკომუნიკაციო პლატფორმებიც. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩართულია დისტანციურ სწავლებაში, განსაკუთრებით, ყველა მასწვლებელს ასეთი მონდომებით, შემოქმედებითი მიდგომით იღებენ მონაწილეობას როგორც ონლაინ სწავლების, ისე ტელესკოლის მნიშვნელოვან პროექტში. ტელესკოლა და ონლაინ ფორმატი ჩვენ საშუალებას გვაძლევს რომ ეს სემესტრი აუცილებლად შედგება და არცერთ შემთხვევაში არ ჩავარდება,- თქვა ჩხენკელმა. მისივე თქმით, არ განიხილება ეროვნული გამოცდების ჩატარების ფორმატის ან თარიღების ცვლილება.

„ტელესკოლის პროექტის ფარგლებში, განსაკუთრებული როლი ენიჭება აბიტურიენტის საათს, სადაც აბიტურიენტები ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით ჩვენი წამყვანი სპეციალისტებისგან კონსულტაციებს იღებენ. ჩვენი სამინისტროს გადაწყვეტილებით, გავახანგრძლივეთ ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციის ვადა, მაგრამ ეს არანაირად არ ეხება თვითონ ეროვნული გამოცდების თარიღებს. ამ ეტაპზე ეროვნული გამოცდების ჩატარების ფორმატის ან თარიღების ცვლილების საკითხი არ განიხილება,“ - თქვა განათლების მინისტრმა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის („ახალი სკოლის მოდელი“) განათლების ექსპერტი თამარ ჯაყელი პედაგოგების მხრიდან სამინისტროს რეკომენდაციების არასწორად გაგებაზე საუბრობს და სკოლის ლიდერებს მიმართავს:

„ძვირფასო კოლეგებო, სასკოლო საზოგადოების ძვირფასო ლიდერებო, მოგმართავთ თქვენ, როგორც „გემის კაპიტნებს“, ამ გასაჭირში რომ უნდა მართოთ სკოლიდან ვირტუალურ სივრცეში გადასული სასკოლო პროცესები.პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ რეკომენდაციაში მოცემული მითითება 20-წუთიანი გაკვეთილების შესახებ, როგორც ჩანს, არასწორად იქნა გაგებული: ზოგიერთმა ისე გაიგო, თითქოს 20-20 წუთი ცალკეულ საგნებში უნდა ჩატარდეს — ეს სრულიად დაუშვებელია. ამავე რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ „დისტანციური გაკვეთილების რაოდენობა საორიენტაციოდ ჯამში არ უნდა აღემატებოდეს კვირაში ხუთ-ექვსს“ — ამ წინადადებაში მოცემული სიტყვა „ჯამში“ ყველა საგანს გულისხმობს. ამდენად, რეკომენდებულია, რომ დაწყებით საფეხურზე დისტანციურ სწავლებას ყოველდღიურად ჯამში 20 წუთი დაეთმოს. ამას გარდა, ინიშნება საკონსულტაციო საათიც, როცა მოსწავლეს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს მასწავლებელს.



ძალიან კარგად გვესმის, რომ გვინდა სწავლების პროცესის მაქსიმალურად უზრუნველყოფა, მაგრამ სწავლების სასკოლო-საგაკვეთილო ფორმატის ამ ვითარებაში შენარჩუნება კიდევ უფრო მეტად გაამწვავებს სტრესულ მდგომარეობას, რომელშიც არიან მოზარდებიც და მათი ოჯახებიც. ეკრანებთან ხანგრძლივად და იძულებით ჯდომა მოზარდებს სიკეთეს ვერ მოუტანს, გარდა ამისა, ამგვარი მოთხოვნა უამრავ სხვადასხვა ტიპის პრობლემას უქმნის ოჯახებსაც (არ დაგვავიწყდეს, რომ ამ ეკრანით ოჯახურ სივრცეში ვიჭრებით). აღარაფერს ვამბობთ ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, რომელსაც ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო გააღრმავებს.

ყველაფერს თავის დადებითი მხარე აქვს და ეს კრიზისული სიტუაციაც გვაიძულებს, შევცვალოთ ჩვენი წარმოდგენები განათლების მიღებულ ფორმებზე. გავიხსენოთ დიმიტრი უზნაძის შეგონება – „ცხოვრება ზრდის ადამიანს, და ამიტომ, როდესაც ნამდვილი აღზრდა გსურს, სკოლაში ეს ცხოვრება უნდა გადაიტანო და ნორჩი ადამიანი მისი საფეხურებით ატარო“. უარი ვთქვათ რუტინული სწავლა-სწავლების პროცესზე, ისედაც ყავლგასული რომ არის ამ საუკუნის მოზარდებისთვის. დავუკავშიროთ განათლება ცხორებისეულ კონტექსტებს, მოვიფიქროთ და მოზარდებს შევთავაზოთ საგანმანათლებლო გამოცდილების მომცემი ისეთ ტიპის დავალებები, რომლებიც იქნება საინტერესო გამოწვევის შემცველიც და მოზარდების შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების განმავითარებელიც. ამ მხრივ თქვენგან საინტერესო ინციატივებს ველოდებით.

და ბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი მასწავლებლები ძალიან რთულ სიტუაციაში არიან. ახალ გამოწვევებზე პასუხის გაცემისა და საკუთარ თავში ახალი რესურსების პოვნა-ამოქმედებისათვის მათ თქვენგან დიდი მხარდაჭერა სჭირდებათ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ კონტროლი და განსჯა არის მეთოდი, რომელმაც მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებში სრული კრახი განიცადა. თუ გვსურს არსებულ კრიზისულ სიტუაციასთან გამკლავება, ყველა ჩვენი მიდგომა მასწავლებლების მხარდაჭერასა და თანადგომაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ლიდერობა რომ ამას გულისხმობს, დარწმუნებული ვართ, ეს ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ.

გისურვებთ ამ უჩვეულო ვითარებაში მოხვედრილი გემის წარმატებით მართვას!“, — წერს თამარ ჯაყელი.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# როგორ ატარებენ „იძულებით არდადეგებს“ მოსწავლეები

ახალმა კორონავირუსმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების შეწყვეტა გამოიწვია. მართალია, დისტანციური სწავლება გრძელდება და ტელეგადაცემების საშუალებით მოსწავლეები სასწავლო პროცესს არ წყვეტენ, მაგრამ ბავშვებს ერთმანეთი და ცოცხალი ურთიერთობები ენატრებათ.

დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეებმა, სოციალური დისტანციის შევსება ისევ დისტანციურად სცადეს...

როგორ ატარებენმოსწავლეები „იძულებით არდადეგებს“ სახლში, ამას ისევ მათგან შეიტყობთ.

ნინო ცისკარაული:

,,2008 წელს დიდი გაჭირვებისა და არეულობის დროს გავიცანი ჩემი კლასი, სკოლა და მასწავლებლები. გავუძელით და ერთად დგომით ბევრი რამ გამოვიარეთ. დღეს, უხილავი მტრის წინაშე

ვდგავართ და ასე ვამთავრებთ სკოლას- გაურკვევლობაში და არეულობაში. სამწუხაროდ იმაზე ფიქრის და გულდაწყვეტის საშუალებაც არ გვეძლევა, გვექნება თუ არა ყველასათვის სანატრელი ბოლო ზარი და ბანკეტი. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, არ მეშინია, რადგან ვიცი, რომ ესეც გაივლის. მინდა ვთქვა, რომ ბევრი წვრილმანი პრობლემისა თუ წინააღმდეგობის მიუხედავად, ყოველთვის საუკეთესო იყო ჩემი სკოლა, მასწავლებლები და, რაც მთავარია, ჩემი კლასი. მეამაყება ჩემი თითოეული კლასელი, ისევე, როგორც მასწავლებელი.

განსაკუთრებული მადლობა მეორე სკოლის თითოეულ მასწავლებელს, რომ არა ისინი, ჩვენი კლასი არ იქნებოდა/ვერ იქნებოდა განსაკუთრებული, შეკრული, ერთიანი, უშიშარი, სიახლეების მოყვარული, სამართლიანი. დიდი მადლობა სკოლას, მასწავლებლებს და ჩემს კლასელებს, რომ მაჩუქეთ უბედნიერესი სკოლაში გატარებული 12 წელი. მიყვარხართ, მეამაყებით და მეიმედებით ყოველთვის!“



მარიამ მეხრიშვილი:

”პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ ყველას ჯანმრთელობას ვუსურვებ, რადგან ამ სიტუაციაში ეს ყველას გვჭირდება. იმედი მაქვს, ყველა მიჰყვება მოწოდებულ რეკომენდაციებს და რჩება სახლში, რადგან რაც შეიძლება მალე და წარმატებით გადავლახოთ ეს პერიოდი.

რაც შეეხება ჩემს კლასს, უნდა ვთქვა, რომ ძალიან მენატრება. ყოველდღიურად იმდენი საინტერესო რამ ხდებოდა ჩვენს კლასში, რომ უბრალოდ შეუძლებელია, ეს არ მოგენატროს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველთვის ყველაზე მაგარი ბავშვებისგან შემდგარი კლასი იყო და იქნება. მართლაც დიდი ბედნიერებაა,



იყო იმ კლასის წევრი,რომლებიც ყოველდღიურად ძალიან დიდ სიყვარულს გამოხატავენ ერთმანეთის მიმართ. მართალია, სკოლის დაწყებაც და დამთავრებაც რთულ პირობებში გვიწევს, თუმცა ვფიქრობ, ამჟამად ერთმანეთის ჯანმრთელობაზე ფიქრი ყველაზე მნიშვნელოვანია. ბავშვებო, ძალიან მიყვარხართ და მენატრებით! ყველაფერი კარგად იქნება!“

# სტუდენტი, გერმანია და კორონავირუსი



ილია გველუკაშვილი, 2011 წლიდან გერმანიაში ცხოვრობს. ამჟამად ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინჟინერიის ფაკულტეტზე სწავლობს და გერმანიის პარლამენტში ნახევარ განაკვეთზე მუშაობს. გაზეთი „შირაქი" მას გერმანიაში დაუკავშირდა და ახალი კორონავირუსის პირობებში იქ არსებულ სიტუაციაზე ესაუბრა.

-მე გერმანიის ახლანდელ დედაქალაქში, ბერლინში ვცხოვრობ. ეს აღმოსავლეთ გერმანიაა და, როგორც ამბობენ, ქვეყნის დასავლეთი ნაწილისგან განსხვავებულიც. აქაური გერმანელები არ არიან ისეთები,როგორც შორიდან ჩანს. მე ქართველს უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს უფრო პუნქტუალური, მონდომებული და ბეჯითი ვარ, ვიდრე ძალიან ბევრი გერმანელი. ჩემს, ყოფილ გდრ-ის მხარეში, დაინფიცირების რიცხვიც ცოტაა და ფატალური შედეგიც.

**-დღეს მსოფლიოს ყურადღება ევროპისა და ამერიკისკენ არის მიპყრობილი. შენი აზრით, რამდენად მზად იყვნენ გერმანელები ამ სიტუაციისთვის?**

-გერმანელები მზად არიან ყოველთვის, რადგან ყურადღებით აკვირდებიან მსოფლიო დაავადების განვითარების დონეს,მაგალითად: ებოლა,ქათმის და ღორის გრიპი და ა.შ. ვფიქრობ, გერმანია უფრო მომზადებული შეხვდა დღევანდელ მსოფლიო პანდემიას, ვიდრე ევროპის რომელიმე ქვეყანა,ამას სტატისტიკური მონაცემებიც გვიჩვენებს!

**კარანტინის პირობებში,როგორია ხალხის განწყობა?.- მძიმე დეპრესიულ ფონზე მაინც ახერხებენ ერთმანეთის გამხნევებას?**

-აღმოსავლეთ გერმანიაში,სადაც მე ვცხოვრობ,არანაირი პანიკა,არანაირი დეპრესია და არანაირი ზედმეტი აკრძალვები არ არსებობს. საქართველოსგან მკვეთრად განსხვავებული ვითარებაა. პირიქით, აქ ცდილობენ,ხალხს არ შეუზღუდონ თავისუფლება.

**- ილია, შენი აზრით, გერმანია მალე დაძლევს ამ კრიზისს და ეკონომიკურ სირთულეებსაც ადვილად გადალახავს?**

-გერმანიაში კრიზისი არც ყოფილა, მყისვე გამოყო მთავრობამ 100 მილიარდი ევრო,საჭირბოროტო საქმეებისთვის,მაგალითად რომელი სტუდენტიც უმუშევარი დარჩა,ამ ვირუსების გამო, მთავრობა 500 ევროს უხდის კომპენსაციის სახით.

**- აქ ვხედავთ,რომ როდესაც დროულად მიმართავ ექიმს, თითქმის 98%-იანი გამოჯანმრთელება ხდება,რამ გამოიწვია შენი აზრით ასეთი მაღალი სიკვდილიანობა ევროპაში?**

-აბსოლუტურად ვეთანხმები ამ მოსაზრებას. მაგალითად: იტალიაში,სადაც მოსახლეობის 60 პროცენტი ხანდაზმულია,ადამიანებს ახასიათებთ მინიმუმ 5 ქრონიკული დაავადება და შედეგი სრულდება ფატალურად,ამ ყოველივეს კი მიაწერენ კორონა ვირუსს. რათქმაუნდა, კორონა ვირუსი უფრო აჩქარებს ფატალურ შედეგს,მაგრამ,თუ გავითვალისწინებთ სიკვდილიანობის სტატისტიკურ მონაცემებს, იტალიის მაგალითზე, პანდემიის შედეგები ოდნავ აღემატება წლების წინ დაფიქსირებულ სიკვდილიანობის მაჩვენებელს!

**- ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს რომ ასე გაუჭირდათ ვირუსთან ბრძოლა, ჩვენი ქვეყანა როგორ გამოიყურება ამ "ბრძოლის ველზე"?**

-რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენს ქვეყანაში ის მთავარი 5 ადამიანი, ვინც გეგმავს ვირუსის საწინააღმდეგო პრევენციულ სამოქმედო გეგმას, ბევრად სჯობია გერმანიის და სხვა წამყვანი ქვეყნების პერსონალს, რომლებიც დღეს დიდ გაურკვევლობაში არიან, საერთოდაც აქვე ვიტყვი, როცა ექიმი მჭირდება,ველოდები, როდის ჩამოვალ საქართველოში და მივალ მანდ პროფესიონალ ექიმთან,ალბათ დაგებადებათ შეკითხვა,რატომ?გერმანიას არ ჰყავს პროფესიონალები?დიახ ჰყავს,მაგრამ უამრავი გაქცეულია ქვეყნიდან და მუშაობენ ამერიკაში,დუბაიში,საუდის არაბეთში და ა.შ.იმიტომ,რომ იქ მაღალი ხელფასებია და აქაური კაბალური საგადასახადო სისტემისგან ბევრად განსხვავებული.რაც შეეხება აქ მყოფ ექიმებს,თუ პროფესიონალთან გინდა მოხვდე,უნდა გადაიხადო ნაღდი ფული,ან უნდა იყო კერძოდ დაზღვეული, სხვა შემთხვევაში, ანუ ჩვეულებრივი სადაზღვეო პაკეტით,მოხვდები ექიმთან და ალბათობა დიდია,შენზე გაიაროს პრაქტიკა. ამ მხრივ ძალიან იმედგაცრუებული ვარ და ყურმოკრულ ამბავს კი არ გიყვებით, არამედ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვსაუბრობ.

**- მოახლოებულ რელიგიურ დღესასწაულებზე რა აზრის ხარ? ეს დიდი გამოწვევა ხომ არ იქნება ვირუსის გავრცელების კუთხით?**

-მე არ ვარ დიდი მორწმუნე, მაგრამ ვარ ქრისტიანი. მწამს ეკლესია, სანთელი და ღმერთი. რათქმაუნდა, უნდა ჩატარდეს წირვა-ლოცვა,მაგრამ დაიცვას ხალხმა ის ყველა რეკომენდაცია,რასაც მედიკოსები წერენ.არ შეიძლება ერთმა სასულიერო პირმა, როგორიც მღვდელია,პასუხისმგებლობა აიღოს ათასობით ხალხის, ანუ მრევლის ჯანმრთელობაზე. მთავარია რწმენა,ხოლო წირვა შეგიძლია აუდიო სისტემითაც ჩაატარო და ხალხს მოასმენინო ის,რასაც ეკლესიაში ისმენენ.

**-პანდემიის შედეგი უკვე აისახა ჩვენს ეკონომიკაზე ციფრებში, ვალუტის კურსი არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას,მანდ რა ხდება ამ კუთხით?**

-აქ ჯერ ვალუტა არ გაუფასურებულა ფრანკფურტის ბირჟაზე კი გაუფასურდა გერმანული კომპანიების აქციები,მაგრამ საგანგაშოდ არა.

**-ევროპული ერების სიბერე, ჯანდაცვის სფეროს არასათანადო მზაობა თუ რამ გამოიწვია ასეთი მაღალი სიკვდილიანობა, რაც გვესმის ყოველდღიურად ?**

-ქრონიკულ დაავადებებს დაემატა კიდევ ერთი ვირუსი,ამ შემთხვევაშ კორონა ვირუსი,რომელსაც მხუთავი ვირუსი შეიძლება ეწოდოს,იკეტება ორგანიზმისთვის ყველაზე სასიცოცხლო ორგანო-ფილტვები და ვერ უძლებს ამ ყოველივეს დასუსტებული, დაბერებული ორგანიზმი და კვდება.

**-გამოიჩინა თუ არა ევროკავშირმა სათანადო დახმარება გერმანიის მიმართ?**

-ევროკავშირს მხოლოდ შეშფოთება გამოსდის კარგად და აღშფოთება კიდევ.გერმანია აქეთ ეხმარება ევროკავშირს და ამათ ნამდვილად არ ესაჭიროებათ ევროკავშირის არანაირი დახმარება.აი, იტალიაში კი ბევრმა პოლიტიკოსმა ევროკავშირის დროშები დაჭრა და ნაგვის ურნაში ჩაყარა,რადგან მათ ქვეყანას ძნელბედობის ჟამს არანაირი დახმარება არ აღმოუჩინეს,როგორც თავად ამბობენ.

**-და ბოლოს, შენი პირადი განწყობების შესახებ მოგვიყევი ამ ყველაფერზე...**

-ჩემი პირადი მოსაზრება,ზოგადად ვირუსებზე, ყოველთვის კრიტიკულია და ბევრისთვის ძალიან პესიმისტური. არ ვარ გულუბრყვილო ადამიანი და არც გაუნათლებელი.ბევრი მინახავს და წამიკითხავს, არ არსებობს ვირუსი, რომლის ანტივირუსიც არ შექმნილა, საერთოდაც არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი დაავადება, რომლის წამალიც არ არის, მაგალითად კიბო და აივ ინფექცია. ჩემნაირად ბევრი ექსპერტი და პროფესორი ფიქრობს გერმანიაშიც. აქ სხივური და ქიმიოთერაპია მილიარდებს აძლევს სამედიცინო სფეროს, ხოლო კიბოს სამკურნალო წამალი, რომელიც ბევრი პროფესიონალი ადამიანის აზრითაც, დიდი ხანია არსებობს, ალბათ არასოდეს გაიყიდება, მანამ, სანამ არ მოვა სოციალისტური და ხალხზე მზრუნველი ძლიერი მსოფლიო მმართველი.

თუმცა, ამის მიუხედავად, მინდა ოპტიმისტი ვიყო. იმედი მაქვს, ეს ვირუსიც მალე დამარცხდება, მალე იპოვიან წამალსაც და ვაქცინასაც შექმნიან. და მსოფლიოც დაუბრუნდება ცხოვრების ჩვეულ კალაპოტს.

**ესაუბრა**
ელზა ხარაშვილი

# ჩემი კარანტინი გრანადაში

***„ყოველთვის ასეთი სევდიანი იყო მზის ჩასვლა?" - კითხულობს ჩემი გერმანელი ფლეთმეითი ანტონი, რომელიც გრანადაში თებერვალში ჩამოვიდა. იქამდე რამდენიმე თვე ერასმუსის პასუხს ელოდა. ამბობს, რომ დადებითი პასუხის შემდეგ ხშირად ესიზმრებოდა, უფრო ხშირად კი წარმოიდგენდა, როგორი იქნებოდა მისი ესპანური თავგადასავალი -ამას არ ველოდი! ამას არავინ ველოდით!***

ქუჩა -მირადორ დე როლანდო, ნომერი 16. სამსართულიანი სახლი. პირველ ორ სართულზე საძინებელი ოთახები. მესამე სართულზე საერთო სივრცე, დიდი ნათელი სამზარეულო და კიდევ უფრო დიდი ტერასა ღია ცის ქვეშ, საიდანაც თითქმის მთელი ქალაქი მოჩანს — მთავარი მიზეზი რის გამოც ამ სახლში ცხოვრება გადაწყდა.

**სახლში ათნი დავრჩით. თორმეტნი ვიყავით, მაგრამ კორონას გავრცელების შემდეგ ორმა საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება გადაწყვიტა. მე ერთადერთი ქართველი ვარ, ჩემი იტალიელი ბიჭი-ალფონსო, ორი ესპანელი -ალექსი და მარია, სამი ფრანგი - ნილსი, ბლანში და პაბლო, ორი გერმანელი - დანიელი და ანტონი და ერთიც შოტლანდიელი - სემი. აქ ჩამოსვლამდე ყველას სხვადასხვა სურვილი გვქონდა, მაგრამ ერთი საერთო- მაქსიმუმი მიგვეღო აქ ყოფნისგან.**

არ აქვს მნიშვნელობა დაინფიცირებული ხარ თუ არა - დღე ყველას კორონა გვაქვს. კარანტინის გამოცხადების შემდეგ, პირველ კვირას რიგრიგობით გვქონდა სიცხე. 37 და ცოტა მეტი, რამდენიმეს სურდო, ზოგს ახველებდა კიდეც. ანტონი, რომელიც ფსიქოთერაპევტობას აპირებს, ამბობს, რომ ეს შიშების ბრალია და რომ კორონას უფლება არ უნდა მივცეთ დაგვიმონოს. მე კიდე სულ წითელა და ძველად გავრცელებული წითელას მიღების და გასტუმრების რიტუალები მახსენდება. წითელას მხიარულება უყვარს, ცეკვათამაში, მოფერება და ტკბილი სიტყვები. იქნებ კორონაც ასეა, იქნებ კორონასაც კარგი დახვედრა უნდა.

**სემს კორონაზე მეტად ეკონომიკური კრიზისი ადარდებს, მამაჩემის ბიზნესი თუ ჩავარდა, სწავლის ფულს ალბათ ველარ გადამიხდისო. ანტიდეპრესანტებს სვამს, უკვე რამდენიმე თვეა, მაგრამ რაც კარანტინი დაიწყო აღარ მოქმედებსო. ამიტომ სასმელს მიეძალა.**

სასმელი ყველამ მოვიმარაგეთ. ვფიქრობდით, ყოველ საღამოს დავლევდით, ვიცეკვებდით, ვიმღერებდით. მაგრამ არ გამოდის. გეგმაც გავწერეთ- ვარჯიშის, იოგას, მედიტაციის საათები, სამაგიდო თამაშები, საუბრები- ღმერთზე, სამყაროზე, სიცოცხლეზე სიკვდილზე, ისევ სიკვდილზე, აპოკალიფსზე, ზომბებზე, ჩვენზე და ისევ ჩვენზე.

**დანიელი ვეგეტარიანელი ფიზიკოსია, საუბრების მთავარი ინიციატორი. ბოლო დროა ხორცის ჭამა დაიწყო. რომ არა კორონა, არ შევჭამდიო. ახლა თითქოს ყველაფერი სულერთიაო.**

**პაბლო** ყოველდღე აცხობს ბლინებს. თავიდან თვითონაც ჭამდა, ახლა მხოლოდ ჩვენთვის. ალექსი დედამისის ზარებს არ პასუხობს. მისი მოსამართლე დედა დღეში სამჯერ რეკავს და შვილს შინ დაბრუნებას სთხოვს. ალექსს ჩვენი დატოვება არ უნდა, მაგრამ, ვფიქრობ, მალე დანებდება. სხვა დანარჩენებსაც ყოველდღე უგზავნიან მეილს, რომ ახლა ესპანეთში დარჩენა საშიშია და ჯობია, შანსი გამოიყენონ, ბარგი ჩაალაგონ და საკუთარ ქვეყნაში დაბრუნდენენ. წასვლაზე არავინ ფიქრობს.

**ნილსისთვის** არაფერი შეცვლილა, კორონამდეც სულ სახლში იყო. ახლა, მგონი, უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. ახლა მიზეზის პოვნა არ სჭირდება, სახლიდან რატომ არ გადის.

**ბლანშიც** ბედნიერია, კარანტინმა საშუალება მისცა, პაბლოს უფრო დაუახლოვდეს და თავი შეაყვაროს.

**ალფონსოს** ოჯახი იტალიაშია, მაგრამ მათზე არ დარდობს. პატარა ქალაქში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა და დარწმუნებულია, რომ მის ოჯახს ვირუსი ვერ მიაგნებს.

***არადა, ვირუსმა ყველას მოგვაგნო. სახლებში გამოგვკეტა და გვაიძულა საკუთარ თავებთან ჩაღრმავება. ალბათ ყველა თქვენგანს ერთხელ მაინც დაუწუწუნია, განსაკუთრებით ორშაბათ დილას, რომ აღარ შეუძლია ასეთი აქტიური ცხოვრების წესის ატანა, რომ ცხოვრების მსგავსი რიტმი საფრთხეს უქმნის ჩვენს მენტალურ ჯანმრთელობას, რომ დიდი სიამოვნებით ჩაჯდებოდა სახლში. იქნებ კოსმოსში გაგზავნილი ჩვენი სურვილების ბრალია კორონას შემოტევა. სახლში ვართ და დავიბენით. რა უნდა ვაკეთოთ? რამდენ ხანს მოგვიწევს ასე ყოფნა? აბა პირველი ვინ გაგიჟდება? ჩვენ განსხვავებულები ვართ, სხვადასხვა ქვეყნიდან, სხვადასხვა ასაკით, სურვილებით, შეხედულებებით, მაგრამ კორონამ თითქოს ერთმანეთს მიგვამსგავსა.***

ერთმანეთის თვალებში საკუთარ აზრებს ვკითხულობთ. ერთმანეთი შეგვიყვარდა. თუ აქამდე მხოლოდ მაშინ ვიყავით ერთად, როცა ვერთობოდით, ახლა მოწყენაც შეგვიძლია ერთად, სევდა და სევდის გამოხატვაც, საკუთარ ოჯახებზე და წარსულზე ლაპარაკიც.

კარანტინმა მიგვახვედრა, რომ ადამიანებს ადამიანები გვჭირდება. მეზობელი სახლის ტერასაზე საიმონი სეირნობს. საიმონი ინგლისიდანაა. გრანადაში ინგლისურის მასწავლებლად ჩამოვიდა. მუშაობას ონლაინრეჟიმში აგრძელებს, მაგრამ მოწყენილია. კარანტინამდე არასდროს გვილაპარაკია მასთან, მისი სახელიც არ ვიცოდით. ახლა გვიკვირს, ერთ ქუჩაზე ვცხოვრობთ, რატომ არასდროს მოვიპატიჟეთ სტუმრად ან ჩვენ რატომ არ ვესტუმრეთ?!

**ქალაქი დუმს. მეზობლის ძაღლები და კატებიც კი ჩაჩუმდნენ. ეკლესიის ზარის ხმაც მოგუდულად ისმის. მხოლოდ სასწრაფოს ხმა დაიჭექებს ხოლმე დროდადრო. ნუთუ აქამდეც ასე ხშირად ისმოდა ეს ხმა? შეიძლება. მაგრამ აქამდე ალბათ ვერ ვამჩნევდით.**

დღის განმავლობაში უფრო მშვიდად ვართ. ღამე შემოგვიტევს ხოლმე გარეთ გასვლის გაუსაძლისი სურვილი. ყველა ვწუხვართ, რომ ნაგვის ურნა სახლთან ძალიან ახლოს დგას. შორს რომ იყოს, ნაგვის გადაყრა სეირნობად ჩაგვეთვლებოდა. მაგრამ გარეთ გასვლა ისეთივე სასიამოვნო აღარ არის, ადრე რომ იყო. გარეთ უფრო იგრძნობა რეალობა. სევდისა და შიშის მომგვრელია აქამდე აქტიური, ხალხითა და ხმაურით სავსე ქუჩების ნახვა. გაზნევს ჩუმი დაცარიელებული ქუჩები... ნუთუ სინამდვილეა, რაც ხდება, იქნებ მესიზმრება? იქნებ ფილმში ვარ? მე ხომ არ გამოვიგონე? გარედან უფრო სევდიანი ვბრუნდებით სახლში.

***მარია ამბობს, რომ შიშების, სიძნელეების, სტრესისა და გაურკვევლობის მიუხედავად, ჩვენ ვიცვლებით და ეს კარგია. გაივლის დრო და საკუთარ ან სხვის შვილებს მოვუყვებით 2020 წლის გაზაფხულზე, აყვავებულ გრანადაზე, ქალაქის ძველ უბანში აღმართულ, უბანივით ძველსავე სახლზე და იმ ადამიანებზე, რომლებთან ერთადაც ამ სახლში გავიჭედეთ. რომლებიც, თავიდან გვეგონა, ჩვენგან ძალიან განსხვავდებოდნენ, მაგრამ აღმოვაჩინეთ, რომ ზუსტად ჩვენნაირი არიან. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ხარ, სად ხარ, როგორი ხარ, ესპანეთში, იტალიაში, საქართველოში, გერმანიასა და საფრანგეთში, კორეასა და იაპონიაში ჩინეთში ირანში, იქნებ, კონგოში... რაღაც საერთო გაგვიჩნდა ყველას... და ამ საერთომ თითქოს მიგვახვედრა, რომ კორონამდეც ასე იყო, კორონამდეც ძალიან ვგავდით ერთმანეთს. უბრალოდ ამას ვერ ან არ ვამჩნევდით. ახლა, გვინდა თუ არ გვინდა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივხვდეთ, რომ ერთნაირი ვართ. იქნებ ასე უფრო შეგვიყვარდეს ერთმანეთი, სიყვარული კი ახლა და, ჩემი აზრით, არა მარტო ახლა, ყოველთვის, სწორედ ისაა, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება.***

არ შეშინდეთ, არ მოიწყინოთ, არ ინერვიულოთ. მაგრამ თუ შეშინდით, მოიწყინეთ ან ანერვიულდით — არა უშავს. მთავარია, გახსოვდეთ, რომ მარტო არ ხართ; მთავარია, გახსოვდეთ, რომ ესეც გავლის, ჩვენ შევიცვლებით და ეს კარგია.

ნინო წომიკურიძე
ესპანეთი

# პანდემია და რძის ინდუსტრიული წარმოება



საქართველოში ინდუსტრიული რძის წარმოების სექტორი კრიზისულ პერიოდს უკვე არსებული პრობლემებით შეხვდა. პანდემიის შედეგად დაწესებულმა შეზღუდვებმა კი რძის ინდუსტრიული წარმოება ახალი დაბრკოლებების წინაშე დააყენა.

საქართველოს მერძევეობის ასოციაციის შეფასებით, ინდუსტრიულ ნედლ რძეზე მოთხოვნა დაბალია, რძის თვითღირებულება კი კიდევ უფრო გაიზარდა, სახელმწიფოს მიერ რძის ფხვნილის სუბსიდირებამ ნედლი რძის მწარმოებლებს არაკონკურენტული გარემო შეუქმნა. ფერმებს გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა მოუწიათ, შეიქმნა სირთულეები საკვებწარმოების მიმართულებით.

ზემოხსენებულ გამოწვევებზე დეტალურად ისაუბრა საქართველოს მერძევეობის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან არქანიამ.

**რძის წარმოების მაღალი თვითღირებულება და ინდუსტრიულ ნედლ რძეზე დაბალი მოთხოვნა იყო და რჩება ერთ-ერთ ძირითად პრობლემად სექტორისთვის. მაღალი თვითღირებულების მთავარ მიზეზს იმპორტირებული საკვების ფასი წარმოადგენს. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი მიიჩნევს, რომ თვითღირებულების რეგულირება შესაძლებელია წარმოებული რძის რაოდენობის გაზრდით, თუმცა დაბალი მოთხოვნა ნედლ რძეზე ვერ ახდენს რძის რაოდენობის ზრდის სტიმულირებას. მეტიც, რძის გადამამუშავებელი კომპანიები არჩევანს აკეთებენ იმპორტირებულ რძის ფხვნილზე, რომლის ფასი ნედლი რძის ფასთან მიმართებაში დაბალია.**

აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევით და სათანადო ღონისძიებების გატარებით. თუმცა, პანდემიის პირობებში სახელმწიფოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ პირიქით დამატებითი პრობლემები შეუქმნა ნედლი რძის წარმოებას.

> ჩვენ ვაწარმოებთ ისეთ პროდუქტს, რომელიც აუცილებელია მომავალი თაობის ჯანმრთელობისთვის. სწორედ ამ მიზნით, წლების მანძილზე სახელმწიფოს, დონორი ორგანიზაციების და კერძო ინვესტორების მიერ მილიონობით ლარის ინვესტიცია განხორციელდა

რძის ფხვნილი სასურსათო პროდუქტების იმ ჩამონათვალში აღმოჩნდა, რომლის ფასებიც სახელმწიფომ სავალუტო რყევებისგან დააზღვია. ასოციაცია უარყოფითად აფასებს სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებას, რომლის შედეგად რძის ფხვნილის მოთხოვნა წახალისდა, ხოლო ნედლი რძის სექტორს დამატებითი სირთულეები შეექმნა.

ნედლი რძის მოთხოვნის სტიმულირების მიზნით, ლევან არქანია მიიჩნევს, რომ მთავრობის მხრიდან უნდა მომხდარიყო ნედლი რძის სუბსიდირება ან რძის გადამამუშავებელი კომპანიების დღგ-საგან გათავისუფლება, რაც ავტომატურად აისახებოდა ნედლი რძის მოთხოვნის ზრდაზე, თუნდაც მოკლევადიან პერიოდში.

„ბუნებრივია, რომ დღეს ყველა სექტორში პრობლემებია და არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. თუმცა, მიგვაჩნია, რომ მერძევეობის სექტორი განსაკუთრებული და სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია ქვეყნისთვის. ჩვენ ვაწარმოებთ ისეთ პროდუქტს, რომელიც აუცილებელია მომავალი თაობის ჯანმრთელობისთვის. სწორედ ამ მიზნით, წლების მანძილზე სახელმწიფოს, დონორი ორგანიზაციების და კერძო ინვესტორების მიერ მილიონობით ლარის ინვესტიცია განხორციელდა, თუმცა მთავრობის მიერ სექტორის მხარდაჭერის გარეშე, მხოლოდ ინვესტირება შედეგს ვერ გამოიღებს. "- აცხადებს ლევან არქანია.

ზემოთ განხილული ძირითადი პრობლემების გარდა, ინდუსტრიულ რძის ფერმებს ყოველდღიურად უწევთ პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების გადალახვა. ფერმებში გამკაცრებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად. მოცემული ნორმების შესრულება ფერმისთვის დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. შეფერხებებია ასევე საკვებწარმოების პროცესში.

ასოციაციას სექტორის განვითარებასთან დაკავშირებით სამომავლო პროგნოზების გაკეთება უჭირს, რადგან ის თუ როგორ განვითარდება მოვლენები დამოკიდებულია, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში რძის ფხვნილის ფასების ცვალებადობაზე. დღევანდელი შეფასებით, საქართველოში ნედლი რძე კვლავ რჩება დეფიციტურ პროდუქტად მიუხედავად გაზაფხულის სეზონისა, როდესაც ქვეყანაში რძის წარმოება მზარდია, თუმცა, მოლოდინი იმისა, რომ ბაზარზე ნედლი რძის ფასი გაიზრდება, ნაკლებია.

## ამირან გამყრელიძე: ზაფხულში COVID-19 უკან დაიხევს

***მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით კორონავირუსი თბილ სეზონზე უკან დაიხევს, მეორე ნაწილის შეხედულებით კი ცივ პერიოდში ისევ თავს შეგვახსენებს,- ამის შესახებ განცხადება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ გააკეთა. მისი თქმით რადგან კორონავირუსი რესპირაციული ვირუსია, მას ახასიათებს სეზონურობა.***

„ჯერჯერობით მსოფლიო ერთ ციფრზე ვერ ჯერდება, თუ რამდენი ხანი გაგრძელდება ვირუსი ან როგორი იქნება, მაგრამ გამოკვეთილია მაინც ორი შეხედულება, რადგან ეს არის რესპირაციული ვირუსი, კორონას ჯგუფის წარმომადგენელი და კორონავირუსის დაახლოებით 4 ტიპი ცნობილია, რომელიც ჩვენთანაც ცირკულირებს და მას აქვს ხოლმე სეზონური ხასიათი, ისევე როგორც სხვა რესპირაციულ ვირუსებს, ყველა ამათ საერთო ქცევის წესები აქვთ და როგორც წესი, ისინი ზაფხულისკენ ცოტა მაინც უკან იხევენ, ცოტა კი არა კარგად უკან (თუმცა, მაინც გვაქვს ხანდახან ზაფხულში გრიპის შემთხვევა). მეცნიერთა უმრავლესობა ემხრობა იმას, რომ უფრო თბილ სეზონზე ამ კორონავირუსმაც უკან უნდა დაიხიოს და შედარებით წავიდეს კლებისკენ, როგორც ახალი შემთხვევები, ისე სიკვდილიანობა და ა.შ. - ეს გახლავთ ერთი შეხედულება, თუმცა მეორე შეხედულებით, ის შეიძლება გადაიქცეს ე.წ. სეზონურ ვირუსად, რომელიც შეგვახსენებს ხოლმე თავს სიცივეში და ის შეიძლება იყოს უფრო რთული და მძიმე ვიდრე გრიპის ვირუსი. ამიტომაც დღეს მსოფლიოს წამყვანი ინსტიტუციები აქტიურად მუშაობენ ვაქცინის შექმნაზე," - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

## კახეთში შემომსვლელ და გამსვლელ მგზავრებს თერმოსკრინინგის გავლა უწევთ

კახეთის შესასვლელებში ორი საკონტროლო გამშვები პუნქტი დამონტაჟდა. სამხედრო ექიმები თერმოსკრინინგს ვაზიანი — გომბორისა და ახმეტა- თიანეთის მიმართულების გზებზე მოძრავ მოქალაქეებს უტარებენ.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ირაკლი ქადაგიშვილის თქმით, აღნიშნული პუნქტების ამუშავებით მთლიანად რეგიონის გაკონტროლებაა შესაძლებელი.

"მოგეხსენებათ, რომ თერმოსკრინინგით გაკონტროლება ხდებოდა თელავის შემოსასვლელებთან. ჩვენ მივმართეთ ცენტრალურ საოპერაციო შტაბს, რათა იგივე ძალებით, ჩვენ შეგვეძლო თერმოსკრინინგით გაგვეკონტროლებინა კახეთის მასშტბით შემომსვლელი და გამსვლელი ადამიანები.

მათ გაიზიარეს ეს წინადადება და დღეიდან ბლოკპოსტები განთავსდა სოფელ ხაშმთან და სოფელ სასადილოსთან" -განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

### მონატრება

## გენადი ღორაშვილი

ისევ უშენოდ მოვიდა 12 აპრილი. ეს დღე ხომ შენია,პატარა ბავშვივით გიხაროდა ამ დღის გათენება.ქუჩაში მომღიმარი ბავშვივით გველოდებოდი, თავს დახრიდი და ბედნიერი მადლობას გვიხდიდი მოლოცვისთვის.ახლა აღარ მიყვარს ეს დღე.ეზოში შენს მაგივრად მხვდება სამარისებური სიჩუმე, შავებში ჩაცმული შენი 34-წლიანი თანამგზავრი,მოწყენილი და მარტოსული. ახლა ყველა ყვავილებით და სანთლებით ხელში შენი სამუდამო განსასვენებლისკენ მოვდივართ. დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო საყვარელო ადამიანო.უამრავი ტკბილი მოგონება დაგვიტოვე.ეს გვატანინებს უშენობას.ჩვენ ყველა ერთად გპირდებით,რომ სანამ ცოცხლები ვართ შენს სახელს დავიწყება არ უწერია.დრომ უშენოდ ცხოვრება გვასწავლა, მაგრამ ეს დრო ვერასოდეს გაანელებს უშენობით გამოწვეულ ტკივილს.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ნათელ სულს.

მეუღლე მაყვალა მარტყოფლიშვილი.შვილი ზურაბ ღორაშვილი.რძალი ნათია გოგილაშვილი.შვილიშვილებითამთა,ნიკა,ანა ღორაშვილები.

მევლუდ გიგოლაშვილი, შოთა ნათელაშვილი, ნუგზარ ლაპიაშვილი, კაკო სამუკაშვილი, ომარ ქისტაური ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

თამარ ცოგოშვილი-ამირანაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.იგი გამოაკლდა ჩვენს მეგობრულ წრეს და გადავიდა მარადისობაში. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი მის ლამაზ სულს.

# რას ითხოვს მთავრობა აგრარული ბაზრებისგან

*აგრარული ბაზრები მუშაობას გააგრძელებენ, მაგრამ ამისთის სურსათის ეროვნული სააგენტოს სტანდარტის დაკმაყოფილება მოუწევთ. სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, აგრარული ბაზრები დიდწილად ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე დაავადების გავრცელების მაღალი რისკის შემცველი იყო. აქედან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ძირითადად აგრარული ბაზრების ფუნქციონირება შეიზღუდოს.*

*„კონკრეტული დაავადებების მქონე პერსონალი არ დაიშვება ასეთ ბაზრებში; 70 წელს გადაცილებული მოვაჭრეებისთვის, ასევე, არსებობს შეზღუდვები, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ჯანდაცვის რისკებიდან გამომდინარეობს. უპირველესი პრიორიტეტი ჯანმრთელობის უზრუნველყოფაა ჩვენს ქვეყანაში“*

,,აგრარული ბაზრების დასაქმებული მოვაჭრეები შეძელებენ გააგრძელოს საქმიანობა, მაგრამ უნდა დაიცვან სტანდარტი. აუცილებელია შევზღუდოთ მობილობა ქვეყანაში, რომ დაავადების გავრცელება არ მოხდეს. მართალია, მწარმოებლებს შეზღუდვა უქმნის დისკომფორტს და უხერხულობას, მაგრამ ეს არის გარდაუვალი აუცილებლობით გამოწვეული გადაწყვეტილება, რომელსაც ვერ ავიცილებდით. დახურვის შესახებ გადაწყვეტილება საკოორდინაციო საბჭომ ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ მიიღო. თუმცა ასევე კონკრეტულ მუნიციპალიტეტებს ეძლევა ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რათა კონკრეტულ პირობებში შეძლონ ბაზრობებმა ფუნქციონირება. ინდივიდუალრურად ხდება, ზოგმა შეიძლება იმუშავოს, ზოგმა - ველარ, მაგრამ თუ ასე ვიმოქმედებთ, რისკს ავიცილებთ. ამდენად, აგრარული ბაზრების ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ იმ სტანდარტის დაკმაყოფილების შედეგად, რომელიც შეიმუშავა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და შეჯერებულია ჯანდაცვის სამინისტროსთან“, - განაცხადა მინისტრმა.



**ლევან დავითაშვილის განცხადებით, სტანდარტში მოცემულია მთელი რიგი მოთხოვნები, რომელიც წაეყენება ბიზნეს ოპერატორს ანუ აგრარული ბაზრის ადმინისტრაციას იმისთვის, რომ მათ მოახდინონ მკაცრად იმ წესების დაცვა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი დაავადების თავიდან ასაცილებლად.**

,,ჩვენს მიერ დაწესებული ღონისძიებები უკავშირდება მოვაჭრე პერსონალის სპეციალური დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფას, ჰიგიენური და სანიტარული პირობების მკაცრ დაცვას, სადეზინფექციო სამუშაობის ყოველდღიურ რეჟიმში ჩატარებას; ეს უკავშირდება ადგილზე სანიტარული საშუალებების არსებობას; უკავშირდება მათ შორის თითოეული მოვაჭრე პერსონალის მიკვლევადობას - მათ იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას; იმისთვის, რომ მიკვლევადი იყოს მოვაჭრე პერსონალის წარსული საქმიანობა მათი კონტაქტები, ძალიან მნიშვნელოვანია განისაზღვროს სად იმყოფებოდნენ, როგორი იყო მათი მოგზაურობის ისტორია, როგორ კონტაქტში და ვისთან იმყოფებოდნენ ისინი ბოლო 14 დღის განმავლობაში; კონკრეტული დაავადებების მქონე პერსონალი არ დაიშვება ასეთ ბაზრებში; 70 წელს გადაცილებული მოვაჭრეებისთვის, ასევე, არსებობს შეზღუდვები, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ჯანდაცვის რისკებიდან გამომდინარეობს. უპირველესი პრიორიტეტი ჯანმრთელობის უზრუნველყოფაა ჩვენს ქვეყანაში”, - განაცხადა დავითაშვილმა.

კიდევ ერთი ცვლილება, რაც შეიძლება პროდუქტების რეალიზაციისას იქნას დაშვებული, მობილური ბაზრებია, რის ანალოგიც უკვე არის გურიაში. თუმცა, როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, აქაც მკაცრი კონტროლი დაწესდება და მეწარმეებს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილება მოუწევთ.

,,აუცილებელია, რომ მობილური სერვისის მიმწოდებელს ძალიან მჭიდრო კომუნკაცია ჰქონდეს ჯანდაცვის სპეციალისტებთან, შეიძლება ინიციატივები გაჩნდეს, მაგრამ არ იყოს თავსებადი ჯანდაცვის მოთხოვნებთან. კარგია, რომ მედიაციას ვახდეთ სავაჭრო ჯაჭვის სხვადასხვა რგოლს შორის, მაგრამ უნდა ეს უნდა მოხდეს ისე, რომ დაცული იყოს დისტანცირება, პირბადეები აუცილებლად იქნას გამოყენებული, ეს არის სავალდებულო პირება ასეთი ტიპის სავაჭრო სივრცეების ფუნქციონირებისთვის”, - აღნიშნა მინისტრმა.



# დაცული ტერიტორიების ახალი ბინადარი

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფოტოხაფანგმა ღამით მოსეირნე მაჩვზღარბა დააფიქსირა.

მაჩვზღარბას მთავარი დამახასიათებელი ნიშანია გრძელი ნემსებით დაფარული, თითქმის მთელი სხეული. იკვებება მცენარეების თესლებით, ფოთლებითა და ხე-მცენარის ქერქით.

საქართველოში მაჩვზღარბას ვაშლოვანის ეროვნულ პარკში და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ვხვდებით

# ულოცავენ!

## ნელი გობეჯიშვილს!

გილოცავთ 70 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თქვენს შვილებთან ერთად. საზოგადოებრივად აქტიური ცხოვრების წყალობით, თქვენ მთელი დედოფლისწყარო გიცნობთ და გაფასებთ.

დღემდე გაქვთ ენერგია და ენთუზიაზმი, რომლის წყალობითაც კვლავ მრავალი იდეის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ბრძანდებით.

თქვენს მიერ უანგაროდ გაწეული სიკეთე გინათებდეთ ცხოვრების გზას.

**სიყვარულით და კეთილი სურვილებით,**
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია,
დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანი“.

## ამირან ქისტაურს! დავით ტოკლიკიშვილს! ზურაბ თეთვაძეს! ზურაბ მამუკელაშვილს!

მთელი მსოფლიოს და ჩვენი ქვეყნისათვის ამ ავბედითობის ჟამს მინდა გულითადად მოგილოცოთ,ჩვენი რაიონის საამაყო პიროვნებებს, წარმატებული ოჯახის თავკაცებს,საუკეთესო თამადებს,სხვადასხვა ნომინაციებში არაეთგზის გამარჯვებულებს დაბადების დღე (8, 9, 16) აპრილი. გისურვებთ წინსვლას, როგორც პირად ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში,რაც მთავარია ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. სანამ თქვენნაირი გულმხურვალე, კაცთმოყვარე და ქველმოქმედი ადამიანები იარსებებენ, კაცობრიობას გადაშენება არ უწერია. „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა თქვენ გაჩნდით ამ ქვეყანაზე!“

**ულრმესი პატივისცემით;**
ნანა ქიჭინაძე,ნელი გობეჯიშვილი, გოდერძი გონაშვილი,
გიორგი ნატროშვილი.

# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 13.04 | | სამშაბათი 14.04 | | ოთხშაბათი 15.04 | | ხუთშაბათი 16.04 | | პარასკევი 17.04 | | შაბათი 18.04 | | კვირა 19.04 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 7° | 4 ° | 9° | 4° | 15 ° | 5° | 14 ° | 5 ° | 10° | 5 ° | 10 ° | 5 ° | 13 ° | 7° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.